ურთიერთშეთანხმება №1

ქ. თეთრიწყარო 2019 წელი

ერთი მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ქორიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ბაზისი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ფანგანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის, მხარეთა შორის 2019 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ №130 ხელშეკრულების მე-11 მუხლისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის 2019 წლის 01 ოქტომბრის №2934 წერილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ამავე ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველ პუნქტში, და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- 5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით

2. შეთანხმების მოქმედება

2.1 წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან.
2.2 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.
2.3 ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.
2.4 შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

3. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი“ ,,მიმწოდებელი“

---------- ----------

გიორგი ქორიძე ლევან ფანგანი

მუნიციპალიტეტის მერი შპს ,,ბაზისი“ -ს დირექტორი

TETRITSKARO MUNICIPALITY Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY Date: 2019.10.02 17:23:17 +04'00'

LLC BAZISI Digitally signed by LLC BAZISI Date: 2019.10.02 06:54:51 -07'00'

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა
და მშენებლობის სამსახური

N 2934
01/10/2019

2934-13-3-201910011723

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი ქორიძეს

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებშბი შპს „ბაზისი“ , მიმდინარე წლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N129 და N130 ხელშეკრულებების ფარგლებში, ასრულებს მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა საპროექტო ცვლილების საჭიროებამ, შეაყოვნა აღნიშნული სამუშაოების დროულად დაწყება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. პროექტების კორექტირებულება დასრულების ფაზაშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს, გაუგრძელოს შპს „ბაზისს“ სამუშაოების შესრულების ვადები ხელშეკრულება N129 და N130-ში 30-30 კალენდარული დღით.

პატივისცემით,

გოჩა ქალდანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეული

საქართველო, თეთრიწყარო, თამარ მეფის ქუჩა №34 2300
Georgia, Tetritskaro district. 2300, Tetri tskaro, tamar mefe st. 34
gamgeoba@tetritskaro.gov.ge